სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

05 მარტი, 2026 წელი

ბრძანება № 01-10/16

ბსუ-ს სარგებლობაში არსებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობებში (კორპუსებში), ხსნადი ყავის და ავტომატური სავაჭრო აპარატების დასადგმელად ფართის იჯარის ფორმით სარგებლობისათვის ქირისა და პირობებიანი ელექტრონული აუქციონის პირობების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების და 85-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანების, ,,ბსუ-ს სარგებლობაში არსებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობებში (კორპუსებში), ავტომატური სავაჭრო აპარატების დასადგმელად ფართის იჯარის ფორმით გაცემაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №07-01/30 გადაწყვეტილების, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 6 ნოემბრის №13/59273 (შიდა N1573432, 10/11/2025) და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 13 ნოემბრის №1604628 თანხმობის წერილების, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 27 თებერვლის №234210 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაიცეს იჯარით, **ორი წლის ვადით,** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი, **ხსნადი ყავის და ავტომატური სავაჭრო აპარატების** დასადგმელად, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით, შემდეგ მისამართებზე:

   ა) **ბსუ-ს №1 კორპუსის** (მდებარე ქ. ბათუმში, რუსთაველი/ნინოშვილის ქ. №32/35, ს.კ. №05.23.03.004, მესაკუთრე სახელმწიფო) **მე-2 სართულის დერეფანში, 3 კვ.მ. ფართი** - ერთი ხსნადი ყავის და ერთი ავტომატური სავაჭრო აპარატის დასადგმელად;

   ბ) **ბსუ-ს №1 კორპუსის** (მდებარე ქ. ბათუმში, რუსთაველი/ნინოშვილის ქ. №32/35, ს.კ. №05.23.03.004, მესაკუთრე სახელმწიფო) **მე-3 სართულზე,** ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში, **3 კვ.მ. ფართი** - ერთი ხსნადი ყავის და ერთი ავტომატური სავაჭრო აპარატის დასადგმელად;

   გ) **ბსუ-ს №2 კორპუსის** (მდებარე ქ. ბათუმში, რუსთაველი/ნინოშვილის ქ. №32/35, ს.კ. №05.23.03.004, მესაკუთრე სახელმწიფო) **მე-2 სართულის დერეფანში, 3 კვ.მ. ფართი** - ერთი ხსნადი ყავის და ერთი ავტომატური სავაჭრო აპარატის დასადგმელად;

   დ) **ბსუ-ს №2 კორპუსის** (მდებარე ქ. ბათუმში, რუსთაველი/ნინოშვილის ქ. №32/35, ს.კ. №05.23.03.004, მესაკუთრე სახელმწიფო) **მე-4 სართულის დერეფნებში, 3 კვ.მ. ფართი** - ერთი ხსნადი ყავის და ერთი ავტომატური სავაჭრო აპარატის დასადგმელად.

2. იჯარით გასაცემი ქონების (ჯამში 12 კვ.მ.) საწყისი წლიური საიჯარო ქირა დღგ-ს და კომუნალური გადასახადების ჩათვლით განისაზღვროს **7200 ლარის ოდენობით** (იჯარის თანხა მოიცავს დღგ-ს, ელექტროენერგიისა და სხვა კომუნალურ გადასახადებს).
3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი **საბანკო გარანტია/ბე** განისაზღვროს **2160** (ორიათას ას სამოცი) ლარის ოდენობით, ხოლო ბიჯი - 120 (ას ოცი) ლარის ოდენობით.
4. იჯარით სარგებლობაში გაცემის **ელექტრონული აუქციონის პირობად განისაზღვროს:**

   ა) იჯარით აღებულ ფართში (სულ 12 კვ.მ), წყვილ–წყვილად (1 ყავის და 1 სავაჭრო აპარატისთვის 3 კვ.მ–ზე) უნდა განლაგდეს ავტომატური სავაჭრო აპარატები, საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარულ დღეში;

   ბ) მოიჯარე ვალდებულია საიჯარო ფართში უზრუნველყოს ეკოლოგიური, სანიტარულ–ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო პირობების/ნორმების დაცვა;

   გ) საიჯარო ქირა გადახდილი უნდა იქნეს ყოველთვიურად, თანაბარწილად, არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა;

   დ) მოიჯარეს შეტანილი ,,ბე" ჩაეთვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის ოდენობაში, საბოლოო ანგარიშსწორებისას;

   ე) მოიჯარე ვალდებულია დაფაროს ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯები;

   ვ) იჯარით სარგებლობაში გაცემის **ვადა - 2 წელი;**

   ზ) მეიჯარე <u>უფლებამოსილია, ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმის გარეშე, ვადამდე გააუქმოს (ვადაზე ადრე შეწყვიტოს) საიჯარო ხელშეკრულება ერთ-ერთ შემდეგ შემთხვევაში:</u>

   ზ.1) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების (არანაკლებ 2 ფაკულტეტის საბჭო, 2 ბსუ-ს სხვა სტრუქტურული ერთეული და სტუდენტური თვითმართველობა) მოტივირებული მოთხოვნის შემთხვევაში, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

   ზ.2) სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში;

   ზ.3) საიჯარო ქირის 2 თვის დავალიანების შემთხვევაში;

   თ) აუქციონში დამარცხებულ მონაწილეებს და აუქციონში რეგისტრირებულ პირებს, რომლებმაც მონაწილეობა არ მიიღეს სააუქციონო ვაჭრობაში, ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია დაუბრუნდება აუქციონის დასრულებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში.

5. ელექტრონული აუქციონი გამოცხადდეს 2026 წლის 5 მარტს და დასრულდეს 2026 წლის 16 მარტს (განცხადება აუქციონის თაობაზე ვებგვერდზე (<u>www.eauction.ge</u>) განთავსდეს 2026 წლის 5 მარტს).
6. დაევალოს ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს უზრუნველყოს აუქციონის გამოცხადება კანონმდებლობით დადგენილი ფორმით ვებგვერდზე - <u>www.eauction.ge</u>.
7. დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების და აუქციონის შესახებ ბსუ-ს განცხადების გამოქვეყნება ბსუ-ს ვებგვერდზე.

8. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის აპარატს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. № 30.)

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე